ხელშეკრულება N04

ქ. თბილისი **28/02/2022 წ.**

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ მხარეებს შორის: შპს ”მაგთიკომი” წარმოდგენილი ოფისის მენეჯერი ქეთევან რამიშვილი სახით, რომელიც მოქმედებს შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილის 06.02.2019 N19/02/06-002 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შემდგომში - მიმწოდებელი, ერთის მხრივ და **ააიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება**, წარმოდგენილი დირექტორის ხარანაული ქეთევან სახით, შემდგომში – შემსყიდველი, მეორეს მხრივ.

ვინაიდან, მხარეთა შორის მოქმედებს ხელშეკრულება/ხელშეკრულებები საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების თაობაზე (შემდგომში - საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება);

ვინაიდან, შემსყიდველის სურვილია, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მოახდინოს ანგარიშსწორება საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით;

ამდენად, მხარეები თანმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 290 (ორას ოთხმოცდაათი ლარი) ლარის საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა მოდემის ნომერზე 708009110 ქვემოთ მოცემული პირობით:

1.2 50 000 MB – 29 ₾ /30 დღე;

სიჩქარე - 5 მბ/წმ
50 000 MB-ის გახარჯვის შემდეგ ინტერნეტის სიჩარე შემცირდება 300 კბ/წმ-მდე.
29-ლარიანი ულიმიტო ინტერნეტპაკეტის მეგაბაიტების აკუმულირება არ ხდება (30 დღის გასვლის შემდეგ დაუხარჯავი ერთეულები უქმდება);
შესაძლებელია სტანდარტული ინტერნეტპაკეტების შეძენა;
სტანდარტული ინტერნეტპაკეტების გამოყენებისას ინტერნეტის მაქსიმალური სიჩქარე არის 5მბ/წმ;
თუ 29 ლარიანი ულიმიტო პაკეტის ვადის (30 დღის) გასვლამდე შეიძენთ ახალ სტანდარტულ ინტერნეტპაკეტს, მეგაბაიტები დაჯამდება და მოქმედების ვადაც გადაიწევს 30 დღით.
თუ 29 ლარიანი ულიმიტო პაკეტის მოქმედების 30-დღიანი ვადის ამოწურვამდე განმეორებით შეიძენთ 29 ლარიან ულიმიტო პაკეტს, ახალი პაკეტის მოქმედების ვადა არ გადაიწევს და იმოქმედებს წინა ულიმიტო პაკეტის შეძენიდან 30 დღის განმავლობაში

1.3 მიმწოდებელი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ჩარიცხული თანხის მომსახურება, მხარეთა შორის მოქმედი შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.4 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის მოქმედებს რამოდენიმე საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება, შემსყიდველმა თანხის გადარიცხვისას უნდა მიუთითოს რომელი საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა სურს.
CV-72400000; 72420000;

2 ანგარიშსწორება

2.1 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4 ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების დადგომის შესახებ.

5 სადავო საკითხების გადაწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გაწყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6 დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 შემსყიდველი აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მხოლოდ საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის/ანგარიშსწორების საკითხი. მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

7 მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „მაგთიკომი“	ააიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #7	დაბა თიანეთი,რუსთაველის 65
ს.ს. ”ვითიბი ბანკი” ანგ. GE73VT6600000000423607	**მომსახურე ბანკი:** სახ. ხაზინა TRESGE22 **ხაზინის /ანგ:** GE24NB0330100200165022;
	საიდ. კოდი: 432385545
კოდი: UGEBGE22 საიდ. კოდი: 204876606	NNLE THE UNION OF LIBRARIES OF TIANETI MUNICIPALITY Digitally signed by NNLE THE UNION OF LIBRARIES OF TIANETI MUNICIPALITY Date: 2022.02.28 16:27:08 +04'00'
ოფისის მენეჯერი /ქეთევან რამიშვილი/	დირექტორი /ქეთევან ბარბაქაძე/